დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სპს ,,ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22 და 23 მარტი, 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13 აპრილი, 2022წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	სპს ,,ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209463659

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი, მუხიანი, მიკრო/რაიონი IVბ (ნაკვეთი 08/017)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, მუხიანი, IVბ მ/რ, ყოფილი N188 საჯარო სკოლა
საფოსტო ინდექსი	0167
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://promete.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	s.p.s.promete@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995 32) 632288; (+995 32) 497447
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნუნუ ბეიტრიშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 746313; (+995) 685549
ელ-ფოსტა	s.p.s.promete@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2022 წლის 25 თებერვლის ბრძანება MES 4 22 0000195352 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სპს ნუნუ ბეიტრიშვილ პრომეთეში ვიზიტის შესახებ“.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	22 და 23 მარტი, 2022წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ჯაში
წევრი (სახელი, გვარი)	ვერა ყურულაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	მუხლი **6/** პუნქტი ა**)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	მუხლი **6/** პუნქტი ბ**)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი **6/** პუნქტი გ**)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	მუხლი **6 /** პუნქტი **დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	მუხლი **6 /** პუნქტი **ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	მუხლი **6 /** პუნქტი **ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი **7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	მუხლი **7 /** პუნქტი **ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	მუხლი **7/** პუნქტი **ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	მუხლი **7/** პუნქტი **ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	მუხლი **7 /** პუნქტი **ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	მუხლი **7 /** პუნქტი **ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	მუხლი **7 /** პუნქტი **ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის	მუხლი **7 /** პუნქტი **გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით			
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი **7 /** პუნქტი **დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	მუხლი **7** / პუნქტი **ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი **7 /** პუნქტი ვ)	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი **7 /** პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი **7 /** პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი **7 /** პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი **7 /** პუნქტი ვ. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	მუხლი **7 /** პუნქტი ვ. ე)	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება,	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები			
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	მუხლი 7/ პუნქტი თ)	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	მუხლი 7/ პუნქტი ი)	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი **8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	მუხლი **8 /** პუნქტი ა**)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	მუხლი **8 /** პუნქტი ბ**)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	მუხლი **8 /** პუნქტი გ**)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	საგანმანათლებლო პროგრამები	ხარვეზი
ქვესტანდარტი	1.1.	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	მატერიალური რესურსი	
ქვესტანდარტი	2.2.	.....
სტანდარტი	ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტი	3.1.	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	საგანმანათლებლო პროგრამები	რეკომენდაცია
ქვესტანდარტი	1.1.	.....
	1.2.	.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	მატერიალური რესურსი	
ქვესტანდარტი	2.1.	.....
	2.2.	
სტანდარტი	ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტი	3.1.	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სპს ,,ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს“ საგნობრივი კათედრები სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი რგოლია. სკოლის ადმინისტრაციას და პედაგოგებს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული, რომ მასწავლებლების ინდივიდუალური ძალისხმევა საკმარისი არ არის წარმატებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის. სკოლის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, თითოეულ საგნობრივ კათედრას ცალკე ოთახი აქვს გამოყოფილი, რაც საშუალებას აძლევს წევრებს მუდმივ რეჟიმში ჰქონდეთ კომუნიკაცია - იმსჯელონ, დაგეგმონ, გადაჭრან ამოცანები, გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება, კონსულტაცია გაუწიონ და დახვეწონ საგნის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები. შთამბეჭდავი და შინაარსობრივად დატვირთულია თითოეული კათედრის პორტფოლიო და შეიცავს ინფორმაციას ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიც არის: საგნობრივი გეგმების შემუშავება, პროფესიული განვითარება როგორც სკოლის ბაზაზე, ისე მის გარეთ, ურთიერთდასწრება და ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა და ა.შ. სკოლაში ზედმიწევნით კარგად ხორციელდება მოსწავლეთა სასწავლო შედეგების დოკუმენტირების პროცესი (მონაცემები, ასევე, წარმოდგენილია კათედრების პორტოლიოში), რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოიხატება შეფასებების და ფაქტების შეკრებაში, სორტირებასა და კლასიფიცირებაში. სტრუქტურირებული და ინფორმატიულია დამრიგებლების პორფოლიოებიც და აღწერს კლასის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და გამოწვევებს. განსაზღვრავს და ადგენს კონკრეტული კლასის ყველა მასწავლებლებისათვის სამუშაო შეხვედრებს, მიზნობრივ თანამშრომლობას და ა.შ. სკოლის პრიორიტეტების რიცხვშია სსიპ ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ მიერ ორგანიზებული საგნობრივი ოლიმპიადებისათვის მოსწავლეთა მხარდაჭერა, შესაბამისად, მაღალია ოლიმპიადის მე-3 ტურში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა და შედეგები. საგანგებო ყურადღება ექცევა ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების პროცესს - კვირის ყოველ შაბათ დღეს მოსწავლეები იმიტირებულ საგამოცდო პროცესს გადიან სკოლაში. შედეგების საფუძველზე, კი იგეგმება შემდგომი ინტერვენციები. სკოლა ფინანსური ვალდებულებისგან ათავისუფლებს მრავალშვილიანი ოჯახის მოსწავლეებს (2 -ზე მეტი შვილის შემთხვევაში, მოსწავლეები სრულად თავისუფლდებიან გადასახადისგან). გარდა ამისა, მატერიალურ წახალისებას ექვემდებარებიან ის წარმატებული მოსწავლეები, რომელთაც სარეიტინგო წერების, აკადემიური მოსწრების, ოლიმპიადაში მიღებული წარმატების და სხვა შედეგების საფუძველზე, მაღალი მაჩვენებლები აქვთ. პედაგოგების მიერ ფუნქციების შეუფერხებლად და ხარისხიანად შესრულებაც არ რჩება სკოლის დირექციის ყურადღების მიღმა - მათი წახალისება სოლიდური ფულადი პრემიით ხორციელდება.

დაწესებულების მისია	სკოლის მისიაა აღზარდოს: ✓ მოაზროვნე; ✓ განათლებული; ✓ თავისუფალი; ✓ კონკურენტუნარიანი; ✓ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე; ✓ ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარით აღჭურვილი მოქალაქე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის მიზნებია: 1. სასწავლო პროცესის წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანების შესაბამისად; 2. მოსწავლეები აღჭურვოს აუცილებელი ცოდნითა და უნარებით, რომლებიც ნებისმიერ გარემოში ადაპტირებას, საკუთარი პოტენციალის რეალიზებასა და წარმატების მიღწევაში დაეხმარება; 3. ჩამოაყალიბოს და განავითაროს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერება, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა; 4. ჩამოაყალიბოს და განავითაროს მოსწავლის აღქმა და პასუხისმგებლობის გრძნობა გარემოს მიმართ; 5. სიღრმისეულად ასწავლოს საგნები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 920	☒	(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპს ,,ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს“ (შემდგომში სკოლა-ლიცეუმი ,,პრომეთე“) სასკოლო-სასწავლო გეგმა სრულად იზიარებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას და იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას. სკოლის მისიაც, სწორედ მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას ემსახურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია: • სკოლის მისია; • სასწავლო წლის კალენდარი; • სასწავლო პროცესის ორგანიზება; • დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა; • სასკოლო საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა; • სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); • საგნობრივი კათედრები; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; • IX და XI კლასების პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის პროგრამა; • ინკლუზიური განათლება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. სასწავლო წლის კალენდრის მიხედვით, 2021-2022 სასწავლო წელი II-XII კლასების მოსწავლეებისთვის განახლდა 2021 წლის 15 სექტემბერს. გამონაკლისი I კლასის მოსწავლეებისთვის დაიშვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ეკატერინე დგებუაძის ბრძანებით - MES 0 21 0000925187, 15.09.2021წ., სპს ,,ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთესთვის" 2021– 2022 სასწავლო წლის დაწყების განსხვავებული თარიღის განსაზღვრის შესახებ“. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, პირველი კლასის მოსწავლეებისთვის კორექტირებულ იქნა სასწავლო პროცესის დასრულების თარიღიც, და განისაზღვრა 2022 წლის 15 ივნისით. სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი კალენდარი, გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(სემესტრების და არდადეგების ხანგრძლივობა, სასწავლო დღეების რაოდენობა) შესაბამისობაშია საჯარო სკოლების სასწავლო წლის კალენდართან. სასწავლო პროცესის ორგანიზება - სპს "ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს 2021-2022 სასწავლო წლის საათობრივი ბადე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობის წერილი გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს - MES 3 21 000 1012632, 01.10.2021წ.) - სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულდა გაუთვალისწინებელ მომსახურებას სავალდებულო და დამატებითი დისციპლინების, აგრეთვე, კლუბების სახით. კერძოდ, დამატებითი სავალდებულო საგნებია - მხატვრული კითხვა (I კლასი), წიგნიერება (IV კლასი), ჭადრაკი (I-V კლასი), რუსული ენა (III-IV კლასი), ლოგიკა (IV-VI კლასი), აბიტური (მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, XII კლასი). არჩევითი კლუბები: ნორჩ ბიზნესმენთა კლუბი (III – VI კლასი), დებატების კლუბი (VIII-XII), ინგლისური ლიტერატურის კლუბი (VII კლასი), მედია წიგნიერი (VI კლასი), ეკო კლუბი (VIII-XII კლასი). სკოლა ახორციელებს/ახორციელებდა დისტანციურ სწავლებას როგორც სრულად ელექტრონული ფორმით (საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდა ელექტრონული პლატფორმის ,,ZOOM”- ის გამოყენებით), აგრეთვე, ჰიბრიდული ფორმით - საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის ჩართვა ხდება ე.წ. ,,Live Stream“ - ით, რის საშუალებასაც იძლევა ყველა საკლასო ოთახში არსებული შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა. სასკოლო-სასწავლო გეგმას დანართად წარმოდგენილი აქვს დისტანციური სწავლების ცხრილი, რომელიც არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბერის №95/ნ ბრძანების ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით წარმოდგენილ სარეკომენდაციო მონაცემებთან. სასკოლო-სასწავლო გეგმის ერთ-ერთი დანართი სკოლის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების არჩევანს განსაზღვრავს. გამონაკლისი ინგლისური ენის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით დაშვებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს MES 2 21 0000868886, 07.09.2021წ. წერილის საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით წარმოდგენილ რეგულაციებთან. სასკოლო-სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა. აღსანიშნავია, რომ სკოლა რეგულარულად ატარებს რეიტინგულ წერებს, რომელთა მიზანია მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის შემოწმება. სარეიტინგო წერები ტარდება V-XII კლასებში, პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს, გარდა მეხუთე კლასის პირველი სემესტრისა, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული განრიგის მიხედვით და წარმოადგენს შემაჯამებელი დავალების ერთ-ერთ სახეს. სკოლაში 8 საგნობრივი კათედრაა, კერძოდ: ქართული ენის და ლიტერატურის, მათემატიკის, ინგლისური ენის, რუსული ენის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, დაწყებითი კლასების, სპორტის და ესთეტიკის. კათედრების ფუნქციები გაწერილია. შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი და თვითშეფასება - კათედრების მუშაობას ეფექტურს და ქმედითს ხდის. კათედრის პორტფოლიოების შიგთავსის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მათი მუშაობა ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესის შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური ასპექტების გაუმჯობესებას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობებს. პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს აირჩიონ პროფესია ინტერესების, შესაძლებლობების და შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია - სასწავლო წლის დაწყების განსხვავებული თარიღის დადგენის შესახებ I კლასის მოსწავლეებისათვის; საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია სასკოლო ბადის შეთანხმების თაობაზე; საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი - ინგლისური ენის ალტერნატიული სახელმძღვანელოების გამოყენების შესახებ; კათედრის დებულება; საგნობრივი კათედრების პორტფოლიო; ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა-ლიცეუმში ,,პრომეთე“ სასწავლო პროცესი სრულად არის ორიენტირებული მოსწავლეზე, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები და ინტერესები. სავალდებულო დისციპლინებთან ერთად, მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია დამატებითი მომსახურება წრეების და კლუბების ფორმით. სკოლის ამოცანათა ნუსხა განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის და სტანდარტების შესაბამისად წარმართვას, მოსწავლეთა მიერ საგნობრივ სასწავლო ოლიმპიადებში და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი შედეგების მიღწევას, ინდივიდუალური მიდგომების განხორციელებას და ა.შ. სკოლის დირექციასთან საუბრისას ირკვევა, რომ მათ კარგად აქვთ გათვითცნობიერებული სსიპ ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის,, მიერ ორგანიზებულ სასწავლო ოლიმპიადებით მოსწავლეთა დაინტერესების სარგებელი - რაც განაპირობებს მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებში დამატებითი ინფორმაციის მოძიებისა და ცოდნის გაღრმავებისადმი მოტივაციის ამაღლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მშობლები ინტერვიუირებისას ადასტურებენ, რომ ეროვნული გამოცდებისათვის მზადების პროცესი სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობს, შესაბამისად, მაღალია სახელმწიფო სასწავლო გრანტებით დაფინანსებული მოსწავლეთა რაოდენობა. სკოლაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში თემატურ-კალენდარულ გეგმებთან ერთად, ვხვდებით მატრიცებს, სადაც წარმოდგენილია თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო შეკითხვები, კომპლექსური დავალებების ნიმუშებს. თუმცა, მათი წილი, ამ ეტაპზე, მაღალი არ არის. პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დგინდება, რომ სკოლა მიმდინარე სემესტრში აპირებს ამ მიმართულებით გააქტიურებას (პანდემიის გამო, პროცესების ტემპი შენელებული იყო). პედაგოგთა ნაწილი უკვე ეცნობა განათლების სამინისტროს მიერ შეთავაზებულ აქტივობებს და რესურსებს, შესაბამისად, დანერგვის ხელშემწყობი პროცესები უფრო ინტენსიურად წარიმართება. სკოლა უწევს ორგანიზებას სპორტულ, სახელოვნებო, საკლუბო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებს, რომლებშიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეები არიან ჩართულები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; თემატურ-კალენდარული გეგმები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები; ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. როგორც უკვე აღინიშნა, ამისთვის სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით სავალდებულო მომსახურებას, აგრეთვე, კლუბურ მუშაობას და მრავალფეროვან წრეებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სასკოლო-სასწავლო გეგმით. კერძოდ, დოკუმენტი აღწერს იმ მექანიზმებს, რომელიც სკოლამ უნდა განახორციელოს სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირებისათვის. სასკოლო-სასწავლო გეგმის 17.2. მუხლი ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს - შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის, მონაცემები სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრების და გაცდენების თაობაზე. სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლებისა და სხვა საკვანძო საკითხებზე. სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართად წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ამ ეტაპზე, სკოლაში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე არ ირიცხება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა - სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და კონტროლი. მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა აქტივობების საფუძველზე, როგორებიც არის კომპლექსურ დავალება, ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	არგუმენტირებული მსჯელობა და ა.შ. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. შეფასების ტიპებია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და ა.შ. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეული საგნისათვის განსაზღვრულია სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართად წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები კათედრების მიხედვით. რუბრიკების უმეტესობა ანალიტიკურია. შეფასების სკალაზე გადანაწილებული მიღწევის დონეების აღწერილობები ძალიან დეტალურია, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს მინიმუმადე დაიყვანოს ცდომილება და შეფასება ობიექტური, სანდო და ვალიდური გახადოს. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა, რომელსაც თითოეული კათედრა ადგენს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. წლის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი წერების ანალიზი ხდება პედაგოგის მიერ. ხოლო, სემესტრისა და წლის ბოლოს, კათედრის თავმჯდომარე კათედრის წევრებთან ერთად აკეთებს მოსწავლეების შედეგების ანალიზს. დოკუმენტირებული მონაცემები ძალიან ვრცელი და დეტალურია და საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების თუ შესაბამისი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; შეფასების სქემები და რუბრიკები; საგნობრივი კათედრის პორტფოლიოები ; დამრიგებლების პორტფოლიოები; შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა; ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესს სკოლის მიერ საგანგებოდ შედგენილი დოკუმენტი (დებულება) არეგულირებს, კერძოდ: სპს ,,ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს,, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის (ჩართულობის) წესი, რომლის მიზნებია - მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მშობელთა დროული ინფორმირება სკოლა-ლიცეუმის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებებისა და შეფასების თაობაზე, მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე, მოსწავლეთა ხელშეწყობა მასწავლებლებთან, თანატოლებთან, ოჯახის წევრებთან და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, მოსწავლეთა კეთილგანწყობილი, მაღალი პასუხისმგებლობით აღსავსე, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა. დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლის/დამრიგებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობისას, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლება-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოვალეობები, სკოლაში გამოცხადების წესი და ურთიერთობის ფორმა. მშობლები ინტერვიუირებისას ადასტურებენ, რომ სკოლა ღიაა მათთვის და მათთან ურთიერთობა ხორციელდება როგორც ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებზე, ასევე, სატელეფონო კავშირით, ელექტრონული ფოსტით, წერილის სახით ან ელექტრონული ჟურნალის დახმარებით (EduPage). აღსანიშნავია, რომ სკოლა-ლიცეუმში ,,პრომეთე" შექმნილია მშობელთა კლუბი, რომლის მიზანია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართულობა, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და მოტივაციის გაზრდა, მშობლისათვის დახმარების გაწევა შვილის აღმზრდელობით საქმიანობაში. როგორც მშობელთა კლუბის დებულებიდან ირკვევა, კლუბში გაწევრიანება ნებისმიერ მშობელს შეუძლია სკოლის ვებ. გვერდზე ან სკოლის სოციალურ ქსელში გვერდზე დარეგისტრირებით. სკოლაში მშობლებთან ურთიერთობა/კომუნიკაცია რეგულირდება სკოლის შინაგანაწესითაც. გარდა ამისა, ინფორმატიულია სკოლის ვებ. გვერდი და სოციალური ქსელის ,,facebook - ის შესაბამისი გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობების, ღონისძიებების, სოციალური და საგანმანათლებლო პროექტების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სპს ,,ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს,, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის ჩართულობის) შესახებ დებულება; სკოლის შინაგანაწესი; სკოლის ვებ. გვერდი და სოციალური ქსელის ,,facebook - ის შესაბამისი გვერდი; ელექტრონული ჟურნალი; ინტერვიუ მშობლებთან და პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“, რომლის საფუძველზე მუდმივად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასკოლო-სასწავლო გეგმის და სწავლების ხარისხის შეფასება. გარდა ამისა, სწავლისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვა, გაკვეთილების შეფასება-ანალიზი. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენას. მონიტორინგის ანალიზის საფუძველზე იკვეთება დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, დგინდება პრობლემის გადაჭრის გზები, რაც სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების წინაპირობაა. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (დოკუმენტის დანართი), განსაზღვრავს განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალს და შემოწმების პერიოდს. საბოლოო ჯამში, იქმნება SWOT ანალიზი, რომელიც ადგენს განვითარდა თუ არა სკოლა, რა პრობლემები გადაიჭრა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეებისათვის და მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარები, რომლებიც იკვლევენ მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებს, არსებულ გამოწვევებს. მასწავლებელთათვის განკუთვნილი კითხვარები ანონიმურია და აფასებს სკოლაში მიმდინარე პროცესებს, გარემოს, რესურსებს და ა.შ. სასწავლო პროცესის შეფასება სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს. გაკვეთილზე დასწრების ანალიზის ფორმა დამსწრეს მიერ შევსებული სახით ეგზავნება პედაგოგს, რომელიც ვალდებულია 2 (ორი) დღის განმავლობაში გაეცნოს რეკომენდაციებს და დაადასტუროს, ან არგუმენტირებული პასუხი გასცეს კოლეგას. კათედრები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სწორედ კათედრების კოორდინირებული მუშაობა განსაზღვრავს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ მხარეს. პროცესების მონიტორინგი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თვითშეფასება, კი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	,,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“, კათედრების დებულება და პორტფოლიოები; ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპს "ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე" მდებარეობს მუხიანის IVბ მიკრო რაიონში (ნაკვეთი 08/017). სკოლას შენობა გადაცემული აქვს 25 (ოცდახუთი) წლიანი საიჯარო პირობით (2043 წლის 03 ივლისამდე). აღნიშნულ მისამართზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი 10387.00 კვ.მ -ს შეადგენს, მასზე განთავსებულია 2 (ორი) შენობა ნაგებობა, საერთო ფართობით - N1 - 1597 კვ.მ და N2 – 4730 კვ.მ. სკოლის ძირითადი შენობა ოთხსართულიანია, მეორე შენობა 2 (ორი) სართულს მოიცავს. ორი დამოუკიდებელი შენობა ერთმანეთთან დაკავშირებულია შემინული ხიდით, გარდა ამისა, თითოეულს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი. სკოლის ძირითად კორპუსში (შენობა N2) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს და უმეტესწილად, საკლასო ოთახებია განთავსებული (მათ შორის განაყოფის ოთახები, კათედრებისათვის განკუთვნილი კაბინეტები, ექიმის კაბინეტი, კვების ბლოკი და ა.შ.). სკოლის მეორე შენობაში სპორტული დარბაზები და სააქტო დარბაზი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კაბინეტი, ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახები და დაწყებითი კლასის (პირველი კლასი) მოსწავლეებისათვის გამოყოფილი საკლასო ოთახები და ფართე დერეფანი/სივრცეა, რაც საშუალებას აძლევს სკოლას დამატებითი უსაფრთხოების გარანტიები და კომფორტული გარემო შეუქმნას მოსწავლეებს. გარდა ამისა, განსხვავებული გაკვეთილების ხანგრძლივობის გამო, თავიდან აიცილოს დღის რეჟიმთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. სკოლის ეზოში კეთილმოწყობილი სპორტული მოედანია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, მუხიანი, IVბ მ/რ (ყოფილი N188 საჯარო სკოლა)
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.11.13.008.017
კვ.მ.	6327 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 10387, 00 კვ.მ მიწის ფართი
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; იჯარის ხელშეკრულება; სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში 46 საკლასო და 7 განაყოფისთვის განკუთვნილი ოთახია (სკოლა კლასების გაყოფას უცხოური ენების სწავლებისას ახორციელებს). ყველა ოთახში არის ტელევიზორი, რომელთა ეკრანის ზომა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს კლასის ყველა კუთხიდან აღიქვან გამოსახულება. ტელევიზორები დაკავშირებულია კომპიუტერებთან და შესაბამისად, გაკვეთილების მიმდინარეობის პროცესში აქტიურად გამოიყენება. ყველა საკლასო ოთახში არის ინდივიდუალური მერხები და სკამები, პედაგოგის მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა ინვენტარი. სკოლის ფიზიკური გარემოს მრავალფეროვნებას სძენს მოსწავლეთა ნამუშევრები. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სკოლის შენობების დამაკავშირებელ დერეფანში (ე.წ. ხიდში) მოწყობილი მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც სკოლის დირექციის და მოსწავლეთა განმარტებით, გარკვეული პერიოდულობით თემატურ განახლებას ექვემდებარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში ფუნქციონირებს ზუსტი და საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლებისათვის განკუთვნილი ლაბორატორიები, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საკლასო ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა). ლაბორატორიების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ორი შიდა სპორტული და ერთი გარე მოედანი აქვს. შიდა სპორტულ მოედნებს აქვთ გოგონების და ვაჟების გასახდელები. სპორტული ინვენტარი განთავსებულია საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში. დამოუკიდებელ სივრცეში განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა. აღსანიშნავია, რომ პირველი კლასის მოსწავლეებისათვის გამოყოფილ შენობის ნაწილშიც ვხვდებით სპორტულ ინვენტარს, რას სკოლის დირექციის განმარტებით, დასვენებებზე მოსწავლეების მიზნობრივ ორგანიზებას უწყობს ხელს. სკოლის მეორე სართულზე მდებარე სპორტული დარბაზი მოწყობილია სპორტის სახეობისთვის - კარატე. დარბაზის იატაკზე რბილი საფარია, რაც მეცადინეობების უსაფრთხოდ და კომფორტულად ჩატარებას უზრუნველყოფს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი; ვიზუალური დათვალიერება; სპორტული ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია ძირითად სასწავლო შენობაში. ლაბორატორიას დამხმარე ოთახიც აქვს, სადაც ინახება ქიმიური რეაქტივები და სხვა საჭირო მალასა. კედლის კარადებში ინახება შესაბამისი ინვენტარი და მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი. გარდა ამისა, ლაბორატორიის ოთახს აქვს ფანჯრები, რაც განიავების საშუალებას იძლევა. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია გამიზნულია საგაკვეთილო, სადემონსტრაციო და საგამოცდო მიზნებისთვის. ლაბორატორიამ პანდემიის გამო გარკვეული ცვლილება განიცადა, კერძოდ, მოსწავლეთა მაგიდები გამოიყო ერთმანეთისგან დამცავი ტიხრებით. სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი (დებულება), რომელიც არეგულირებს ლაბორატორიების გამოყენების წესს. როგორც ზემოაღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს ვირტუალურ ლაბორატორიებსაც. შესაბამისი პროგრამა ჩატვირთულია სკოლის ყველა კომპიუტერში, რომლით სარგებლობაც შეუძლიათ პედაგოგებს და მოსწავლეებს. ვირტუალური ლაბორატორია მოიცავს სხვადასხვა სასწავლო თემის გარშემო ვირტუალურ ექსპერიმენტებსა და თვალსაჩინოებებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის აღქმისა და შემეცნების პროცესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ზედნადები); კომპიუტერული ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი საბუთები; ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება); ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ელექტროენერგიის და წყლის მიწოდება უწყვეტად ხორციელდება. გარდა ამისა, სკოლას აქვს გენერატორიც. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. კათედრებისათვის განკუთვნილ კაბინეტებში მოწყობილია გაგრილების სისტემები. შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები: გოგონებისთვის და ბიჭებისათვის ცალ-ცალკე. სსსმ პირებისთვის განკუთვნილი ადაპტირებული სველი წერტილი სკოლის პირველ სართულზეა. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკაში 4920 წიგნია აღრიცხული (excel – ის ფაილში). მათ შორისაა სკოლის მიერ შერჩეული, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოები ორგანიზებულად არის განლაგებული თაროებზე, თემატიკის და შინაარსის მიხედვით. ბიბლიოთეკაში არის მკითხველთათვის გამოყოფილი სივრცე, კომპიუტერითა და ინტერნეტით სარგებლობის საშუალება, ელექტრონული საინვენტარო წიგნი, წიგნების ანბანური საძიებო კატალოგი და მკითხველის ფორმულარები. სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციონირება ხორციელდება სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტის ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დებულება“ შესაბამისად. როგორც დებულებიდან ირკვევა, ბიბლიოთეკის დანიშნულება მოსწავლეთა სწავლების ხარისხისა და მოტივაციის ამაღლებაა, რაც სხვადასხვა აქტივობებით მიიღწევა. მაგალითად, წიგნების შესახებ სემინარების მოწყობა, წიგნიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროპაგანდა და მოტივირება, მკითხველთა კლუბების შექმნა, სხვადასხვა მწერლებსა თუ პოეტებთან შეხვედრების ორგანიზება და ა.შ. სკოლის ბიბლიოთეკაში ვხვდებით პერიოდულ გამოცემებსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სახელმძღვანელოების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; დოკუმენტი ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დებულება"; პერიოდული გამოცემების ,,ახალი განათლება" და ჟურნალი ,,დილა" შესყიდვის დოკუმენტაცია; ხელშეკრულება პერიოდულ გამოცემათა მიწოდების შესახებ (შპს ,,ელვა.ჯი"); ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. კერძოდ, შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. სკოლის კიბეებზე განთავსებულია ასაკეცი პანდუსები. სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. ამ ეტაპზე, სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ ირიცხება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ტელევიზორებით და კომპიუტერული ტექნიკით, შესაბამისად, სასწავლო პროცესი ტექნოლოგიების გამოყენებით წარიმართება. სკოლაში 83 ცალი კომპიუტერი (პროცესორი და მონიტორი), 4 ცალი პორტატული კომპიუტერი, 10 ცალი საბეჭდი მოწყობილობა, 4 ცალი პროექტორი და 57 ცალი ბრტყელ ეკრანიანი ტელევიზორია. სკოლის ვებ.გვერდი http://promete.ge/ ინფორმატიულია და შეიცავს სკოლასთან დაკავშირებულ მშობელთათვის, მოსწავლეებისათვის, პედაგოგებისათვის და უცხო პირთათვის საჭირო ინფორმაციას სკოლის შესახებ, მათ შორის, ინფორმაციას სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების, განხორციელებული აქტივობების, ღონისძიებების, წრეების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა წარმატებების, ღირშესანიშნავი თარიღების და სხვა. სკოლა აქტიურობით გამოირჩევა სოციალურ ქსელში, კერძოდ, https://www.facebook.com/PrometeSchool, სადაც გამომწერთა რაოდენობა 15 000 აღწევს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ვებ.გვერდის დამზადების ხელშეკრულება; ხელშეკრულება ინტერნეტის პროვაიდერთან; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში დამონტაჟებულია 25 ცალი ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორი, 12 ცალი ცეცხლმაქრი, რომლებიც დამუხტულია და ყველა სართულზეა განთავსებული. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ადგენს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ნუსხას. შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს სკოლის შენობიდან ევაკუაცია. ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფის უფროსის ფუნქციებიც დებულებით არის წარმოდგენილი - დეტალური და მიზნობრივია. სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). სკოლას შედგენილი აქვს უსაფრთხოების სამსახურის დებულებაც, სადაც გაწერილია სამსახურის საქმიანობის სფერო და ფუნქციები, მათ შორისაა, პირველადი დახმარების აღმოჩენა და სახანძრო საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხელშეკრულება სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის დამონტაჟების თაობაზე; სახანძრო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; უსაფრთხოების სამსახურის დებულება; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. გარდა ამისა, შენობის პერიმეტრზე დამონტაჟებულია მაჩვენებლები (EXIT), რომლებიც მიუთითებს გასასვლელებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საევაკუაციო გეგმა; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა-ლიცეუმს ,,პრომეთე,, შედგენილი აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები. სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო დახმარების კაბინეტი. კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით. ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება მათი ახლით ჩანაცვლება. კაბინეტში მდებარე მაცივარსა და კარადაში განლაგებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. სკოლის ექიმის ვალდებულებები გაწერილია ზემოაღნიშნულ დებულებით და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გარდა, მის ფუნქციებში შედის - ინფექციის გამოვლენის ან გავრცელების შემთხვევაში განახორციელოს აუცილებელი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, ხელი შეუწყოს ინფექციური დაავადებების პრევენციას, მუდმივად აკონტროლოს სკოლა-ლიცეუმის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და კანონმდებლობის ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, გაატაროს ადეკვატური ზომები და ა.შ. დებულებას დანართის სახით ერთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა. პანდემიიდან გამომდინარე, სკოლამ შეადგინა პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია პანდემიის პირობებში COVID-19-სგან დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა და მათი ეფექტური განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი; სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა - სქემატური გამოსახულება; პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა; სამედიცინო ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ხელშეკრულება სკოლის ექიმთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა-ლიცეუმს ,,პრომეთე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისად, შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან (წერილი MES 022 0000199282, 25.02.2022წ.). წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირები არიან სკოლის უსაფრთხოების ოფიცრები (სულ 3) და დარაჯები. უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში. სკოლის მთელი პერიმეტრი შემოსაზღვრულია ღობით, ეზოში შესვლა მხოლოდ ე.წ. ,,გამშვები პუნქტის" გავლით არის შესაძლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენციას; სკოლის დებულება; დაცვაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოკამერებით. სულ სკოლაში 39 ვიდეო კამერაა, აქედან 10 კამერით ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება ხორციელდება, 4 კამერა გარე პერიმეტრს აკონტროლებს, 25 შენობის შიგნით არის დამონტაჟებული. გარე კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლა-ლიცეუმის ვიდეო თვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი წარმოდგენილია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტში. კერძოდ, მეხუთე თავი ადგენს ვიდეო სათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებისა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელს პირის მიერ განსახორციელებელ ქმედებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სათვალთვალო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; ვიზუალური დათვალიერება; შრომითი ხელშეკრულებები უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა-ლიცეუმს ,,პრომეთე,, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს იურდიული პირის წესდება, სკოლის დებულება და შინაგანაწესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სპს ,,პრომეთეს“ წესდება 1995 წლით თარიღდება და მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო სწორედ სასწავლო დაწესებულების დაფუძნება და პედაგოგიური საქმიანობაა. სკოლის დებულება აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობას, სკოლა-ლიცეუმის მართვის წესებსა და პრინციპებს. გარდა ამისა, დებულებით წარმოდგენილია ინფორმაცია სკოლის სტრუქტურისა და მართვის პრინციპების, მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულების შესახებ. დეტალურად გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობებიც. სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/მათ კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე. შინაგანაწესით რეგულირდება შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, წახალისების ფორმები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლებები და მოვალეობები, დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, მოსწავლეებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობის წესები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	წესდება; სკოლის დებულება; შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას-ლიცეუმს „პრომეთე“ შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები, რომლებიც სკოლის მისიიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სკოლის ერთწლიანი გეგმა მოიცავს 2021-2022 წელს. დოკუმენტში წარმოდგენილია გეგმის შემუშავების ეტაპები. ერთწლიანი გეგმა 6 (ექვსი) მსხვილი ბლოკისგან შედგება, კერძოდ: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, ადამიანური რესურსები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო, სასკოლო კულტურა, ეფექტური მენეჯმენტი. თითოეული ბლოკი შედგება პრიორიტეტული საკითხებისგან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მითითებულია შესრულების ვადა და პასუხისმგებელი პირები. სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი (6 წლიანი გეგმა) განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს, რომლებიც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ბავშვთა უფლებათა კონვენციას, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სკოლის წესდებას და შინაგანაწესს, სკოლის შინაგანაწესს, ეროვნულ სასწავლო გეგმას და სხვა ნორმატიულ აქტებს. SWOT ანალიზი ადგენს ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და გამოწვევებს და სწორედ გამომდინარე ანალიზიდან, წარმოდგენილია სკოლის სტრატეგიული მიზნები. 6 (ექვსი) წლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში, დიფერენცირებულია სკოლაში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც 8 (რვა) მიმართულებას მოიცავს. კერძოდ: სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით, თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, მასტიმულირებელი ბერკეტები სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სპს "ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს" ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა; სპს "ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს" 2021-2022 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპს „ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს" საქმისწარმოების ერთიანი წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. წესი ვრცელდება სკოლა-ლიცეუმის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. ელექტრონულად შემოსულ დოკუმენტაციაზე საქმისწარმოების წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წერილი შემოსულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელ.ფოსტაზე: s.p.s.promete@gmail.com დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია და შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში იწარმოება შემდეგი სახის აღრიცხვის ჟურნალები: შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალ, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დამოწმებულია დირექტორის მიერ. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საქმისწარმოების წესი; სარეგისტრაციო ჟურნალები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპს "ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე" სკოლამ წარმოადგინა სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის პორტირებული მონაცემები, რომლის მიხედვითაც სკოლაში მუშაობს 111 თანამშრომელი, მათ შორის 82 ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. საშტატო განრიგის მიხედვით სკოლას ჰყავს: დირექტორი; აღმასრულებელი დირექტორი; დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის კოორდინატორი; ფსიქოლოგი; საინფორმაციო მენეჯერი; საქმისმწარმოებელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მნე; ექიმი; შესყიდვების მენეჯერი; 2 (ორი) ბიბლიოთეკარი; 4 (ოთხი) გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი; სავალდებულო დამატებითი საგნის (ჭადრაკი) მასწავლებელი; 2 (ორი) დღის უსაფრთხოების ოფიცერი; 3 (სამი) ღამის დარაჯი; 4 (ოთხი) დამლაგებელი; მეეზოვე; სანტექნიკოსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის საშტატო განრიგით; თანამშრომელთა პირადი საქმეებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	82
მოწვეული/მაძიებელი	4
პრაქტიკოსი მასწავლებლი	-
უფროსი მასწავლებლი	67
წამყვანი მასწავლებლი	10
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომლებიც შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. 10 მასწავლებელს აქვს მინიჭებული წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, 67 უფროსი მასწავლებელია, 3 მაძიებელი მასწავლებელია და 1 მოწვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებელი. სკოლას ჰყავს ერთი მასწავლებელი დამატებითი სავალდებულო საგნისთვის (ჭადრაკი). სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მასწვლებლის პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებელთა შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლების ,მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. პირველ ეტაპზე, კანდიდატი წარადგენს რეზიუმეს, შემდეგ ხდება გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კანდიდატს მოეთხოვოს საჩვენებელი გაკვეთილის ჩატარება. ვაკანტური ადგილის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებში. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მკაფიოდ და ასევე თანხვედრაშია შრომის კოდექსთან. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი (შინაგანაწესი, მუხლი 16). დასაქმებულის მოტივაციის ამაღლების კუთხით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, სააღმზრდელო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში, დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები. დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები გაწერილია შინაგანაწესში, სადაც განსაზღვრულია გადაცდომების და პასუხისმგებლობის სახეები (შინაგანაწესი, მუხლი 27). დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი (შინაგანაწესი, მუხლი 32).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი; ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; კონკურსის ჩატარების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. წამყვან და უფროს მასწავლებლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია განუსაზღვრელი ვადით. მაძიებელ და მოწვეულ მასწავლებლებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა ხელშეკრულება გატარებულია ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ერთიანი მექანიზმი, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია ჯგუფის დებულება და სამოქმედო გეგმა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, სერიოზული და მრავალფეროვანი საქმიანობა ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე. დეტალურად არის გაანალიზებული თითოეული მასწავლებლის საქმიანობა, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება. კათედრების თავმჯდომარეების სემესტრული ანალიზი არის ფუნდამენტური და მასში აღწერილია როგორც მიღწევები, ასევე კათედრის წევრების წინაშე არსებული გამოწვევები. სკოლაში ტარდება პედაგოგთა შეხვედრები, სემინარები და ტრენინგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სპს „ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს“ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის გეგმა; ხარისხის განვითარების პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; ჩატარებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია; საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; ინტერვიუ მასწავლებლებთან და დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირებით გამოვლინდა, რომ სკოლაში არის კეთილგანწყობილი და კოლეგიალური გარემო. სკოლა პერსონალს, მოსწავლეებსა და მშობლებს ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციულ კულტურას სთავაზობს. სკოლაში პერიოდულად ტარდება გამოკითხვები. თითოეულ მოსწავლეს, მშობელს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეხედულებები. სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა და რეკრეაციული ზონები სკოლაში დაცულობისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროს ქმნის. სკოლაში კარგად არის გადანაწილებული პასუხისმგებლობა. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს თვითრეალიზაციის და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან; შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 392 (სამასოთხმოცდათორმეტი) გვერდი.

....

(შევსების ადგილი) ქალაქი თბილისი;
თარიღი - 13.04.2022წ.;
გვერდების რაოდენობა - 44 (ორმოცდაოთხი).

44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.